თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2013 წლის 29 მარტის სხდომის ოქმი #4

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 21, სტუდენტები – 8, სულ – 30 წევრი.

დღის წესრიგი

1. ა(ა) იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს კვოტების შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

2. უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამების: ა) ტურიზმის მენეჯმენტი, ბ) სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი, გ) გიდის (ტურის გამყოლის) ბიზნესი - პროგრამების დამტკიცების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

3. სამაგისტრო პროგრამის ,, ტურიზმი“ დამტკიცების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

4. ეკონომიკის საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების გზამკვლევის დამტკიცება;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

5. აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სამსახურის სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

6. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2013 წლის 30-31 მაისს სტუდენტთა 73–ე სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შესახებ;

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

7. მიმდინარე საკითხები

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა აკაკი ხელაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: ა(ა) იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს კვოტების შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

მომხსენებელმა ფაკულტეტის დეკანმა, ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დებულებაში არსებულ ჩანაწერში აღნიშნულია, რომ თითოეულ კათედრას ჰყავს 2 წარმომადგენელი ფაკულტეტის საბჭოზე, ხოლო შემდგომ რაოდენობრივად დიდი კათედრები ინაწილებენ დარჩენილ ადგილებს. მაგალითად, კათედრას რომელსაც ჰყავს 6 და მეტი აკადემიური პერსონალი, მას საბჭოში წარმოდგენილი ჰყავს 3 წარმომადგენელი. აკადემიური კონკურსის შემდგომ მოხდა ცვლილებები და ამჯერად არასაკმარისია ფაკულტეტის საბჭოს 40 წევრიანი კვოტა. განხილვის დროს იყო შემოთავაზებული რამოდენიმე ალტერნატივა, თუ როგორ შეიძლებოდა წესთან სწორად მორგება და შესაბამისობაში მოყვანა.

პირველი ვერსია *- ყველა კათედრას ფაკულტეტის საბჭოში ჰყავს თანაბარი რაოდენობით წარმომადგენლები, ხოლო აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები ავტომატურად შევიდნენ ფაკულტეტის საბჭოში.*

მეორე ვერსია *- შენარჩუნდეს ზრდადობის პრინციპი - კათედრაზე სადაც 8 და მეტი აკადემიური პერსონალია, იღებს 3 წევრს.*

მესამე ვერსია *არის ის, რომ ყველა კათედრას თანაბრად ჰყავდეს 2 წარმომადგენელი;*

აზრი გამოთქვეს:

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ასოც. პროფ. ი. გაგნიძე - მოგეხსენებათ, რომ მე არ ვარ ფაკულტეტის საბჭოს წევრი. წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე ფაკულტეტის დებულების გატანა მომიწია მე და ეს იყო ის, რაზეც მე არ მქონდა ხმის მიცემის უფლება. ის ფაქტი, რომ აკადემიური ან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი არ არის ფაკულტეტის საბჭოს წევრი, ეს ქმნის საკმაოდ კურიოზულ სიტუაციას. მიმაჩნია, რომ ეს უნდა გავითვალისწინოთ.

სრ. პროფ. გ. ღაღანიძე - მიმაჩნია რომ ეს მიდგომა არ არის სწორი. როდესაც ვინმეს ირჩევენ აკადემიურ საბჭოში, ეს არ ნიშნავს, რომ კიდევ სადღაც აირჩიეს. მიმაჩნია, რომ ეს არ იწვევს კურიოზულ სიტუაცუას, როცა კათედრებზე დებულების განხილვა მიმდინარეობს, შეიძლება იქ გამოითქვას ყველას დამოკიდებულება. ფაკულტეტის საბჭოზე დასწრება კი ყველას შეუძლია. საუბარია იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანზე გადავანაწილოთ წარმომადგენლობა. არ შეიძლება ერთდროულად იყოს არჩევა და დანიშვნა. ეს ჩანაწერი ნიშნავს დანიშვნას და ეს არ არის სწორი მიდგომა.

სრ. პროფ. ე. ხარაბაძე - სრულიად ვეთანხმები ბატონ გიას. არც აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობა არ გახლავთ ცალკე განყენებული თანამდებობა. ზემოთ აღნიშნული პრინციპით ისე გამოდის, რომ ყველა კათედრას თითო წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში და ა.შ. ან ერთ პრინციპზე შევთანხმდეთ და ან მეორეზე. წარმომადგენლობით საბჭოში ასევე არიან ფაკულტეტის საბჭოს წევრებიც და მათ უნდა დავალებოდათ ამ საკითხის გატანა. ყველა შემთხვევაში, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრს ფაკულტეტმა უნდა მისცეს სრულყოფილი ინფორმაცია და შესაბამისი დავალება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

სრ. პროფ. თ. შენგელია - ჩვენ თითოეულ აქ წარმოდგენილ ადამიანს გვაქვს უზენაესი უფლება, ეს არის არჩევითობის უფლება. დღეს ეს უფლება ირღვევა და რაში მჟღავნდება ეს: - უფლება დაირღვა მაშინ, როდესაც დავიწყეთ აკადმიური საბჭოს წევრების დანიშვნები და არა არჩევნები. დღეს ფაქტობრივად ის წარმომადგენლობა ჩვენ არ გაგვაჩნია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაში და ესენი არიან ძალიან ღირსეული ადამიანები, მე მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ჩვენ გვჭირდება არჩეული ადამიანები. პირველ შემთხვევაში ასე დაირღვა ეს უფლება. მეორე შემთხვევაში ჩვენ 4 წლით ავირჩიეთ აკადემიური საბჭოს წევრები და დღეს ისევ უნდა დავარღვიოთ ეს უფლება. ხვალ და ზეგ კიდევ იქნება ისეთი აზრი, რომ დეკანი არჩეულია 4 წლით და გადავირჩიოთ. როდესაც ეს სისტემატიურად ირღვევა, იქმნება პრეცენდენტი. მე ამ პრინციპების წინააღმდეგი ვარ.

სრ. პროფ. ე. ხარაბაძე - განსაკუთრებით მინდა ვითხოვო ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტებთან დაკავშირებით და ყველანი ვიყოთ ყურადღებით და ფაკულტეტის საბჭოში არჩეული სტუდენტები უნდა დაესწრონ სხდომას.

დეკანი, ა. ხელაძე - საუბარია არა მარტო სტუდენტებზე, არამედ ყველა საბჭოს წევრის ვალდებულებაზე, დაესწროს სხდომას. ჩვენ არჩევითობას არ ვაყენებთ ეჭვქვეშ. წარმოდგენილი იყო მოდელები, თუ რა არის მაქსიმუმი გამომდინარე წესდებიდან. საბჭოზე დასწრების აღრიცხვის სტატისტიკა მიმდინარეობს და მე გავაკეთე მისი ანალიზი: საშუალო დასწრება არის 25, ე. ი. ბოლოს ჩატარებული სხდომებიდან 32-იდან 25 კაციანი შემადგენლობა მუშაობს. არის შემთხვევები, სადაც დასწრება არის დაახლოებით 50%-ზე ნაკლები. აქედან გამომდინარე ცვლილებები კარგია, რათა უფრო ქმედითი იყოს საბჭო.

სრ. პროფ. დ. ნარმანია - რადგანაც რამოდენიმე თვეში ისევ მოგვიწევს კონკურსის ჩატარება, ხომ არ დავიცადოთ 3-4 თვე და გადავწიოთ ამ საკითხის განხილვა?

სრ. პროფ. გ. ღაღანიძე - შეგახსენებთ, რომ ბოლო შეხვედრაზე ვიმსჯელეთ ამ საკითხზე და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ახლა შევთანხმდეთ პრინციპზე და ამოქმედება გადავწიოთ ახალი სემესტრიდან. გარდა ამისა, სრული პროფესორების შეხვედრაზე ვთქვით, რომ უნივერსიტეტს აქვს ორი მმართველობითი ორგანო - აკადემიური საბჭო სრული პარიტეტის პრინციპით - 2 წევრი და წარმომადგენლობითი საბჭო - სადაც აღარ არის პარიტეტი, წევრების რაოდენობა დამოკიდებულია ფაკულტეტის ზომაზე. აქედან გამომდინარე მოდით შევჯერდეთ იმაზე, რომ ყველა კათედრას აქვს წევრების რაოდენობა (2-ით განსაზღვრული) და ამის მერე კათედრის წევრთა რაოდენობის მიხედვით უნდა დაემატოს წევრთა რაოდენობა. ფაკულტეტის საბჭო თავისი არსით უფრო წარმომადგენლობით საბჭოს წააგავს, ვიდრე აკადემიურ საბჭოს.

სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილი - რადგან არის სამი ალტერნატივა, ჩემი წინადადებაა ყველას ვუყაროთ სათითაოდ კენჭი. მიღებული გადაწყვეტილება კი შევიყვანოთ ძალაში ახალი სემესტრიდან, ასევე განვსაზღვროთ მისი ძალაში შეყვანის ვადა.

სრ. პროფ. ნ. თოდუა - ფაკულტეტის დებულებაში არის საკითხები, რომელზეც უნდა გაიმართოს დისკურია, ამიტომ მიმაჩნია, რომ ყველა საკითხი უნდა იქნას განხილული, დანარჩენი ცვლილებებიც გასატანია. ჩვენ წინა სხდომებზე დებულებას მხარი დავუჭირეთ იმ პირობით, რომ შემოვიდოდა უამრვი ცვლილებები. დებულებაში ბევრი ხარვეზებია. ამიტომ ეს საკითხი მთლიანობაში უნდა განვიხილოთ.

დეკანი, ა. ხელაძე - ყოველ ცვლილებას სჭირდება პროექტის მომზადება. მე როდესაც ინიცირება გავუკეთე კვოტების შესახებ პროექტს, წარმოვადგინე მზა ალტერნატივები, რომელიც განვიხილეთ და ვუყარეთ კენჭი. თანამდებობრივი ინსტრუქცია იქნება ეს თუ კონკრეტული მუხლის ცვლილება, უნდა იყოს წარმოდგენილი საკითხის კუთხით, რომ ვიყოთ უფრო ქმედითუნარიანები. ბატონო ნუგზარ, დავსვათ საკითხი, რომ ნებისმიერმა კათედრის გამგემ აიღოს ინიციატივა, რომ დაიდება პროექტი, განისაზღვრება პასუხისმგებელი პირი და კონკრეტული წინადადებები, რომელსაც განვიხილავთ.

გაიმართა კენჭისყრა წინადადებაზე: - ყველა კათედრას ფაკულტეტის საბჭოში ჰყავს თანაბარი რაოდენობით წარმომადგენლები, ხოლო აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები ავტომატურად შევიდნენ ფაკულტეტის საბჭოში.

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 6;
წინააღმდეგი – 24.

გაიმართა კენჭისყრა წინადადებაზე: - ყველა კათედრას ფაკულტეტის საბჭოში ჰყავს თანაბარი რაოდენობით წარმომადგენლები, მაგრამ შენარჩუნდეს ზრდადობის

პრინციპი. მისი ამოქმედება მოხდეს ახალი სასწავლო წლიდან, აკადემიური კონკურსის დამთავრების შემდეგ ახალი აკადემიური პერსონალის დამატების შედეგად.

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 21
წინააღმდეგი –9

გაიმართა კენჭისყრა წინადადებაზე: – ყველა კათედრას ფაკულტეტის საბჭოში ჰყავს 2 -2 წარმომადგენელი.

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 3
წინააღმდეგი – 27

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოში კათედრების კვოტა განისაზღვროს თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლებით, მაგრამ შენარჩუნდეს ზრდადობის პრინციპი. მისი ამოქმედება მოხდეს 2013–2014 სასწავლო წლიდან, აკადემიური კონკურსის დამთავრების შემდეგ.

მოისმინეს: უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამების: ა) ტურიზმის მენეჯმენტი, ბ) სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი, გ) გიდის (ტურის გამყოლის) ბიზნესი - პროგრამების დამტკიცების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

მომხსენებელმა ფაკულტეტის დეკანმა, ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ ეს არის პროფესიული განათლების პროგრამები ტურიზმის ცენტრის ფუნქციონირების განხორციელებისთვის.

აზრი გამოთქვეს:

სრ. პროფ. ნ. თოდუა - კითხვა, რომელიც მე წარმომადგენლობით საბჭოზე დავსვი, მაშინაც არ გაეცა პასუხი და ახალა ეს კითხვა აქაც მინდა დავსვა. ტურიზმის ცენტრი, რომელიც შეიქმნა, შედის ფაკულტეტის შემადგენლობაში თუ დამოუკიდებელი სტრუქტურაა? მე ამის პასუხი ვერ მივიღე. იქნებ გაგვარკვიოთ ეს საკითხი, ვიდრე პროგრამების დამტკიცებაზე გადავალთ.

დეკანი, ა. ხელაძე - აქ არის პროექტის ხელმძღვანელი ქალბატონი მაია და ის მოგვახსენებს. მე საქმის კურსში ვარ შემდეგი თვალსაზრისით. ტურიზმის პროგრამა არის საფაკულტეტო და განხორციელებისთვის გადაცემული აქვს ტურიზმის საერთაშორისო სკოლას, იგივე პრინციპი არის პროფესიული პროგრამასთან

დაკავშირებით, რომელიც ფაკულტეტისაა და განხორციელებისთვის გადაცემული აქვს ტურიზმის განვითარების ინსტიტუტს.

სრ. პროფ. ნ. თოდუა – რატომ არ შეიძლება რომ ეს ჩვენ განვახორციელოთ?

დეკანი, ა. ხელაძე – ჩვენ ახლა თუ ვმსჯელობთ იმაზე, რომ ეს პროგრამები ფაკულტეტის შიგნით იყოს თუ გარეთ, მიმაჩნია რომ ახლა ეს საკითხი არ დგას. ეს პროგრამები განხირციელებისთვის გადაცემული აქვს ტურიზმის განვითარების ინსტიტუტს. აკადემური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები, ვინც დღეს გვესწრება, თხოვნა მექნება, რომ თუ რამე ინფორმაცია საბჭოს არ აქვს, გთხოვთ მიაწოდოთ.

სრ. პროფ. მ. მარგველაშვილი – საუბარია იმაზე, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, რექტორატმა, აკადემიურმა საბჭომ გადაწყვიტეს, რომ გაძლიერდეს ეს მიმართულება, მისი სამეცნიერო ნაწილი. ამავე დროს ეს არის სასწავლო დანიშნულების მქონე სტრუქტურა, სკოლა იცით რომ არსებობდა და დაემატება პროფესიული სკოლები, სამი პროფესიული პროგრამა. ეს გახლავთ ორი მეხუთე საფეხურის და ორი მეოთხე საფეხურის, რომელიც იყო ასევე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ერთგვარი დაკვეთა. მე მთხოვეს, რომ გამეკეთებინა ეს პროგრამები იმის გამო, რომ ამუშავებულიყო ქუთაისში არსებული ჩვენი ფართი, რომელიც შემოგვემატა. იქ ხორციელდება ყველა პროგრამა. საფუძველი არის ერთადერთი: მიმართულების გაძლიერება არა მხოლოდ სასწავლო მიმართულებით, არამედ სამეცნიერო-კვლევით ჭრილში. საქმე იმაში გახლავთ, რომ დღეს მაჩვენებლებს ტურიზმიდან ვერ იღებენ და ის მაჩვენებლები, რაც გაჩნდა სულ ორიოდე კვირის წინ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის საიტზე, ასევე მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოში, მათი ნაწილი მოდელირებულია. ამიტომ საჭიროა ამ პროგრამების მიღება. ეს სტრუქტურა დამოუკიდებელია.

სრ. პროფ. ე. ხარაბაძე – თუ დამოუკიდებელია, მაშინ რა შუაშია აქ ფაკულტეტის საბჭო?

დეკანი, ა. ხელაძე – მე განვმარტავ. პრინციპი არის იგივე, რაც თავის დროზე გადაწყდა ტურიზმის პროგრამასთან დაკავშირებით. ფაკულტეტს აქვს მხოლოდ უფლება შეიმუშაოს, ჰქონდეს, ფლობდეს საგანმანათლებლო პროგრამებს. როგორც მაშინ შეიქმნა საბაკალავრო პროგრამა ტურიზმში და დღესაც მის მფლობელი არის ფაკულტეტი, განხორციელებისთვის აქვს გადაცემული ტურიზმის საერთაშორისო სკოლას.

სრ. პროფ. ნ. თოდუა – ჩვენი ფაკულტეტი თანახმაა იმაზე, რომ ჩვენი რესურსები იხარჯებოდეს ჩვენი ფაკულტეტის გარეთ არსებულ სტრუქტურაზე? რატომ უნდა იხარჯებოდეს? ვერ ვგებულობთ ამ საკითხს. ჩვენ ჩვენი ბიუჯეტი არ

გვყოფნის იმისათვის რომ 150 სტუდენტი პრაქტიკით ვუზრუნველყოთ. თუ შეიძლება დოკუმენტალურად მოგვცეთ საბუთი.

სრ. პროფ. ე. ხარაბაძე - ეს არ არის დღეს წარმოქმნილი პოლემიკური საკითხი. ამ საკითხზე დავა, დახვეწა, სრულყოფა უკვე წლებია მინდინარეობს და ვერა და ვერ გადაწყდა უნივერსიტეტში და ასეთი მიდგომით ვერც გადაწყდება. სასურველია, რომ იყოს ცალკე სტრუქტურა, რომლის უფლება განათლების კანონიდან გამომდინარე უნივერსიტეტს არ აქვს იმიტომ, რომ გარდა ფაკულტეტისა უნივერსიტეტის სტრუქტურაში არ შედის. ამიტომ უნდა იყოს შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული, რომ ერთხელ და სამუდამოდ ეს მოწესრიგდეს ან მივმართოთ კანონში ცვლილებას და უნივერსიტეტს მიეცეს ასეთი სტრუქტურის უფლება ან არადა რაღაც ჩარჩოზე ერთხელ და სამუდამოდ ჩამოვყალიბდეთ. გასარკვევია სტრუქტურის საკითხი.

სრ. პროფ. ე. ხარაიშვილი - გარკვეული კითხვები მეც გამიჩნდა ამ საკითხთან დაკავშირებით, ამიტომ ამ სიტუაციაში გამოსავალი არის ის, რომ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამ საკითხს შეისწავლის და მოგვაწვდის ინფორმაციას, რათა შემდეგ სხდომაზე განვიხილოთ, რომ არ მივიღოთ არასწორი გადაწყვეტილება.

სრ. პროფ. გ. ღაღანიძე - ეს პრობლემა იყო თავიდანვე. ამ მსჯელობას, თუ როგორ გვაქვს აწყობილი ადმინისტრაციული ვერტიკალი და როგორ მოძრაობს ფინანსური რესურსები - ეს არის ცალკე საკითხი, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამა არის ცალკე საკითხი. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება არავითარ კავშირში არ არის ამ საკითთან. პროგრამა ყველა ვარიანტში უნდა დავამტკიცოთ, რომ ამ ახალშექმნილ სტრუქტურას არ შეეშალოს ხელი ფუნქციონირებაში. პროგრამა შეგვიძლია გადავცეთ სარეალიზაციოდ სხვა სტრუქტურას. ეს არის ნებადართული განათლების კანონით. ის, თუ რა სტრუქტურაა, ეს არის განსაზღვრული რექტორის ბრძანებით.

სრ. პროფ. თ. შენგელია - ბატონო აკაკი, ყველა ლოგიკით იმ შეკითხვებზე, რომელიც მე წინა საბჭოს სხდომებზე დაგისვით, თქვენ რომ გაგეცათ სრული პასუხები, ეს შეკითხვები დღეს არ დაიბადებოდა. მე თქვენ გკითხეთ მაშინ: რა არის ეს სტრუქტურული წარმონაქმნი, როგორია თქვენი მონაწილეობის ხარისხი, რაზეც თქვენ ცალსახად მიპასუხეთ, რომ თქვენი მონაწილეობის ხარისხი არის ნული, მე ამ პროცესებში არ ვმონაწილეობო. ამ პროცესებში არ მონაწილეობდა ფაკულტეტის საბჭო, პროფესურა. დღეს ჩვენ მივიღეთ სტრუქტურული ერთეული, რომელიც ფაკულტეტის დაუკითხავად შეიქმნა. რატომ არ გაგვაცანით შექმნის დროს ეს საკითხი, მისი მიზნები? იქნებ ჩვენ ხმასაც მივცემდით და მხარსაც დავუჭერდით? ფაქტია, რომ შეიქმნა დამოუკიდებელი ფაკულტეტი, აქვს დამოუკიდებელი ადმინისტრაცია, ნორმატიული დოკუმენტები და ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს ფაკულტეტი შემოდის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე? ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულკტეტი დღეს გაიყო და შეიქმნა დამოუკიდებელი ფაკულტეტი.

დეკანი, ა. ხელაძე - ვიცოდით, რომ მიდინარეობდა მუშაობა და დღეს ეს დასრულებულია. ვეთანხმები ქალბატონ ელენეს, რომ გვინდა გავიგოთ სრულყოფილი ინფორმაცია სტრუქტურის, ბიუჯეტის და პროგრამების შესახებ და პრობლემა არ იქნება მხარდაჭერის, ეს შეგვიძლია გავაკეთოთ, აქ არიან წარმომადგენლები და შეგვიძლია ვკითხოთ. ეს არ არის ფაკულტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება - რა იქნება, საუნივერსიტეტო დონის დამხმარე თუ სხვადასხვა ერთეული, ეს არის ცენტრალური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება. რადგან გვჭირდება მეტი ინფორმაცია, გეთანხმებით, მოვითხოვოთ ეს და დავუჭიროთ შემდგომ მხარი. ასე, რომ მე გთავაზობთ წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით გავაკეთოთ პროგრამული კენჭისყრა. რაც შეეხება მართვას, განხორციელებას, გადაცემას მე ვთხოვ ქალბატონ მაიას მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, იქნება ეს დოკუმენტალური თუ პროგრამული, დადგენილებები.

სრ. პროფ. ე. ხარაიშვილი - ქალბატონ ნინოს როცა გამოაქვს ეს საკითხი, ეს უნდა განხილულიყო პროფესორებთან ერთად, ბიზნესის მიმართულებაზე. თუ ეს გაკეთებულია და ხელმოწერილია, მაშინ შეიძლება მისი კენჭისყრაზე გამოტანა.

სრ. პროფ. ე. ხარაბაძე - მაქვს კიდევ ერთი დაზუსტება. ყველა პროფესორი დამეთანხმება, რომ მე ქალბატონ მაიასთან არანაირი პროეტენზია არ მაქვს, მაგრამ მისი მომზადებული პროგრამა ამ საკითხს დღეს ვერ გადაწყვეტს. აქ საუბარია სტრუქტურაზე, ვერტიკალზე. თუ ქალბატონ მაიასთან გვექნება პროგრამასთან დაკავშირებული კითხვები, ის გაგვცემს ამაზე პასუხს. მე ორი წლის წინ ვთქვი და დღესაც ვამბობ, რომ ისევ მოუწევს უნივერიტეტის ხელმძღვანელობას ამ საკითხის დაზუსტება. ეს არ არის პრობლემა, არავინაა წინააღმდეგი შეიქნას ფაკულტეტი.

დეკანი, ა. ხელაძე - ქალბატონ ეკას ვთხოვოთ ინფორმაცია საკითხის პროცედურასთან დაკავშირებით, რამდენად გავლილი აქვს პროგრამებს პროცედურა?

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - მოგახსენებთ ორივე პროგრამაზე. სამაგისტრო პროგრამა წელიწადნახევრის წინ მუშავდებოდა და მერე უნივერსიტეტში ცვლილებების გამო შეჩერებული იყო. ახლა ყველანაირი პროცედურა გავლილია იმ თვალსაზრისით, როგორც ჰქონდა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე. ჩვენ თუ ჩავხედავთ პროგრამის შემუშავების ისნტრუქციას, იქ გვაქვს ორი ვარიანტი: ერთი, რომელიც არის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული იმაზე განხილვა და მეორე არის შესაბამისი მიმართულების აკადემიურ პერსონალის სხდომაზე განხილვა. ჩვენ როდესაც გვაქვს ერთიანი პროგრამები, ამ შემთხვევაში გვაქვს გაერთიანებული სხდომები და კათედრებიდანაც მოდის

ეს საკიტხი და ისე იხილება, ხოლო უშუალოდ ტურიზმის პროგრამაზე, ასე გვქონდა საბაკალავროშიც და ამ შემთხვევაშიც, კათედრის სხდომის გადაწყვეტილება არის შემოსული და შემდგომ როგორც არის პროცედურულად, გავლილი აქვს ხარისხის სამსახური, ცენტრალური ხარისხის სამსახურიდან მიღებული აქვს დასკვნა და თანხმობა დამტკიცებასთან დაკავშირებით.

სრ. პროფ. ნ. თოდუა - ინსტრუქცია ითვალისწინებს იმას, რომ მიმართულების პროფესორების სხდომაზე უნდა მომხდარიყო ამ პროგრამის განხილვა. მე ვფიქრობ, რომ აქაც დარღვეულია უნივერსიტეტის ინსტრუქცია. თუკი ეს ჩვენთან იხილება, მაშინ გამოდის, რომ ჩვენიც ყოფილა. არის გაურკვეველი სიტუაცია.

ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილი - ბატონო ნუგზარ, მაშინ მოგვახსენეთ რა დამოკიდებულება გაქვს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლასთან დაკავშირებით?

დეკანი, ა. ხელაძე - საკითხის განხილვა თუ გვინდა, იყო კითხვები და გაცემულია პასუხები. თუ არ გვინდა, ამის საშუალებას გვაძლევს კენჭისყრა, რომ ყველამ დააფიქსიროს თავისი პოზიცია. მე მინდა განვმარტო შემდეგი: ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი არის საუნივერსიტეტო დამხმარე სასწავლო საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული, რომელიც ტურიზმის სკოლის, ევროპული კვლევების ინსტიტუტის, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მსგავსად არსებობს უნივერსიტეტში. ანუ ეს არის საუნივერსიტეტო დამხმარე სტრუქტურული ერთეული. რაც შეეხება მეორე კითხვას: პროგრამები წარმოდგენილია პროცედურის დაცვით, განხილვა ჯერ მოხდა კათედრაზე, შემდგომ საფაკულტეტო და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. ორივე შემთხვევაში კითხვებზე პასუხი არის გაცემული და თუ ეს არ არის საკმარისი ინფორმაცია, თქვენ მარტივად შეგიძლიათ თქვენი პოზიცია დააფიქსიროთ კენჭისყრაზე. ასე, რომ ვაყენებ კენჭისყრაზე საკითხს: პროფესიული განათლების პროგრამების დამტკიცების შესახებ.

სრ. პროფ. ნ. თოდუა - თქვენ კი აყენებთ საკითხს, მაგრამ ჩვენ ხომ არ განგვიხილავს ეს პროგრამა? მეც მაქვს ჩემი მოსაზრებები ამასთან დაკავშირებით. კენჭისყრას რომ ჩაატარებთ მერე გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებები?

დეკანი, ა. ხელაძე - კენჭისყრაზე თქვენ შეგიძიათ დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია. ბატონ ნუგზარს და ბატონ თემურს ვთხოვოთ გაგვარკვიონ, რა გვინდა იმასთან დაკავშირებით რომ დავაყენოთ კენჭისყრაზე? თუ რამე ინფორმაცია არ გვაქვს, მოვითხოვოთ და ამის შემდეგ ვუყაროთ კენჭი.

სრ. პროფ. ნ. თოდუა - მე გავეცანი დოკუმენტებს, რაც გამოაგზავნა ქალბატონმა მაიამ და იქ არის ერთი რამ რაზედაც გული მწყდება. რამდენად კოლეგიალური დამოკიდებულებაა, როდესაც არის საგანი შეტანილი ,,მარკეტინგის საფუძვლები“ და ის უნდა წაიყვანოს მარკეტინგის კათედრამ და ამ დროს თუ

კათედრას არ ეკითხებიან ამას, ეს უკვე პარადოქსია. არ შეიძლება ასეთი რამის გაკეთება. პროგრამას ახლა ვიხილავთ და არავის არ უკითხავს არაფერი მარკეტინგის კათედრასთან მიმართებაში. ასეთი რამ არ შეიძლება.

დეკანი, ა. ხელაძე - ბატონო ნუგზარ, ეს არის თქვენი პოზიცია. თუ საკითხი დადგა კენჭისყრაზე, რატომ იქნება წინააღმდეგი. რას გვთავაზობთ?

სრ. პროფ. თ. შენგელია - თუ ამას მარკეტინგის კათედრას არ ეკითხებით, რად გინდათ მაშინ ეს კათედრა, გააუქმეთ მაშინ. ჯერ უნდა შეეთანხმებინათ ეს საკითხი კათედრასთან და მერე უნდა გამოგეტანათ განსახილველად. პროფესორებს არ შეუთანხმოთ, კათედრებს არ შეუთანხმოთ და ჩვენ ხელი ავწიოთ თანხმობის ნიშნად?

სრ. პროფ. მ. ტუხაშვილი - როგორ შეიძლება ასე, კათედრას არაფერს ეკითხებით?

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - აღნიშნიული სილაბუსები შემუშავებულია ტურიზმის კათედრის წევრის მიერ, რომელსაც ძალიან დიდი კავალიფიკაცია და გამოცდილება აქვს მარკეტინგის კუთხით საგნების წაკითხვაში - ეს არის ნანა კაციტაძე, რომელიც არის კარგი სპეციალისტი.

სრ. პროფ. თ. შენგელია - თუ მარკეტინგის სპეციალისტია ნანა კაციტაძე, ბიზნესში როგორ გავიდა კონკურსში?

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - თქვენ კარგად იცით რომ ეს არის ინდერდისციპლინური საგანი.

სრ. პროფ. ნ. თოდუა - ჩემთვის გაუგებარია ხარისხის სამსახურის ასეთი პოზოცია.

აღნიშნული საკითხის გარშემო გაიმართა ცხარე კამათი. გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები და მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ეს და დღის წესრიგით განსაზღვრული სხვა საკითხების დამტკიცება გადაიდოს შემდეგი საბჭოს სხდომისთვის.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ა. ხელაძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ნაცვალაძე